# შოლტი

№ 28



# ძმური სალამი მსოფლიო ოქტომბრის მცველს წითელ არმიას!

## შოლტიანის მოხსენება 10 წლის თავზე

ამხანაგებო,
საბჭოთა საქართველოს
ათი წელია.
ჩვენი მტრებისთვის
ეს ათი წელი
საშინელია!
უკვე დავტოვეთ
უკან წლები
მძიმე, საზარი
და გავაჩაღეთ
მშენებლობა უზარმაზარი!
მე მხოლოდ მოკლედ
შევეხები ამ მშენებლობას,
თორემ ვინ მოსთვლის
სად რამდენი რამე აიგო..
ეს მიღწევები უკვე
იგრძნო მშრომელმა ხალხმა
და თაოსნობა მშენებლობის
ოვითონ აიღო!
ტფილისის ცაზე
ხედავთ—ლეგა ღრუბლები
დადის!
არვინ შეშინდეთ,—
ეს ქარხნების შავი ბოლია!
თავში მაუდის ფაბრიკაა
გადაჭიმული
თან რომ ინგლისის
მანქანები გამოშყოლია!
ორთაჭალაში კინტოების
ქეიფის ნაცვლად,
ჩამწკრივებულა მანქანები—
ბამბის სართავი...
ტყავის ქარხნები
ფეხსამოსის დიდი ფაბრიკის
ნედლეულით და
სხვა მასალით
გასამართავი!
უწინ ვინ ნახა!
და არავინ არც
დაიჯერებს,
რომ ქუთაისში
მოექსოვოს
ვისმე ფართალი!
ჩადგეს ფაბრიკა
მაუდის, აბრეშუმისა
და იმის გვერდით
ახალ ქარხნებს
კიდევ მართავენ!
კასპშიც ქარხანა
აგუგუნდა...
მოდის ცემენტი!
გომის ველებზე
გაიჭიმა გრძელი არხები.
აქვე გვექნება
ახლო ხანში
სიმდიდრის წყარო
შაქრისა და ჭარხლის ქარხ-
ნები!
ბონი, თელავი, ოზურგეთი
აბრეშუმსა ქსოვს...
ამდენს ვინ მოსთვლის.
საქართველო
ქარხნებად იქცა!
ათი წლის წინეთ
აქ რა იყო,
მხოლოდ ყამირი
და გვალ-ვისაგან გადამწვარი
ხრიოკი მიწა!
შეხედეთ ზაჰესი
მოაბიჯებს ამირანივით.
მტკვარი დააბა ჯებირებში
უკვე ძლეული...
ზაჰესს, აბჰესი, რიონჰესი
მოსდევენ ერთად
და სხვა ელექტრო სადგურები
ცეცხლ დაფრქვეული...
გახედეთ არხებს!
ტირიფონის ველი გაიპო
და სიხარული მოეფინა
მიწას მალული.
ალაზნის არხი
ვეშაპივით გაწვა ველებზე
და მორწყო მხარე
უცხუნარეს მზით
დაგვალული!
ქართლში, კახეთში, იმერეთში
მიწას ფატრავენ,—
საუკუნეთა დოვლათი რომ
დაუმარხიათ.
წინეთ სადაც კი
სიმწირე და უდაბნო იყო
ყველგან რიონის,
ან ენგურის
წყლების არხით
აყვავდა მიწა,
დაიყარა მკერდზე დოვლათი.
მშრომელ გლეხობას
აღარ სტანჯავს
შრომა დღიურად.
სადღაა სოფლად
კავ-სახნისი,
ტრაქტორთა რაზმი
შეპმია მიწას
და მიარღვევს
კოლექტიურად!
ამხანაგებო,
საოცარი დრო დატრიალდა,
მორჩა, წაერთვა
მოსვენება მიწას
სრულიად.
მიუდგომელ მთებს
გულს უპობენ
ნალმები გმინვით.
და მიუვალი
კლდეები გულგაფატრულია!
სად მარმარილოს
სიპებს სთხრიან,
შავ ქვას, ქვანახშირს,
დღეს რომ ერთია,
ხვალე მოდის სხვა
ფალავანი!
ხამგორის ველებს
გადმოლახავს
იორის ტალღა
და წინ დახვდება
ანთებული თაფარავანი!
ჭაბურღილები
მოსდებია ისევ ომფარეთს,
შირაქის მკერდში
მიწას ხეთქავს მძლე შადრე-
ვანი.
ახალი ბაქო ემატება
საბჭოთა მხარეს,
რომ აღარ დაგვრჩეს
სადმე საქმე
ნაკლულევანი!
სადგურებს მოსდევს
სადგურები უფრო ძლიერი
და უთვალავი სადგურები
კიდევ წინ არი.
ხვალ არ იქნება
ჩვენს სოფელში
გლეხი უწიგნო
და აღარც ერთი
წერა-კითხვის უცოდინარი!
ყველგან თეატრი, სამკითხვე-
ლო,
ყველგან სკოლები,
საყოველთაო სწავლებაა
გაჩაღებული
დაეცა ლამე
და მშრომელთა ფეხქვეშ
ფართხალებს,
ეხლა სწავლა და
სინათლეა გამარჯვებული!
მაგრამ მიღწევებს
ელობება წინ დაბრკოლება,
კლასიურ მტერსაც
არა სძინავს,
ბრძოლას აჩაღებს.
იბრძვის კულაკი
გააფთრებით,
აქვე, ჩვენს გვერდით,
და გარედანაც
არა სძინავთ
ქვეყნის ყაჩაღებს!
ბევრი მშიშარა
გარბის ბრძოლის
შუა ველიდან,
მაგრამ წინ მიდის
მაინც ტემპი
ჯერ არნახული...
უკან დავტოვეთ
სიძნელეთა მთელი გორები
მუშათა კლასის
მტკიცე ნებით
გადალახული!
ამხანაგებო,
ეს სად იყო,
10 წლის წინეთ!
განა ძნელია
სიავ-კარგის ჩვენთვის
გარჩევა!
ეს წელიწადიც,
ხუთწლედის ეს მესამე წელიც,
და წინ მოგველის
სხვა მიღწევა
და გამარჯვება!

შოლტიანი

---

## მენშევიკების გოდება

ვაჰ წარსულო სანეტარო დროება.
რომ არ მაკლდა ფული დამყუდროება.
ის ოხერი წელი წელსა მოება,—
აღარა სჩანს ნოე, ის „სათნოება

— : —

კუჭი მეწვის, გული სევდამ დალარა—
და უღ ოოვოდ წვერი გამიჭაღარა.
ტანს ვერ ფარავს დაგლეჯილი ნაზარა,
ვაჰ, სიცოცხლე აღარ მინდა აღარა.

— : —

იმედს ფრთები შეუკვეცა უდროოდ,
ქუჩა - ქუჩა დავყიალობ ულონოდ,
ზოგჯერ თავს ვგრძნობ როგორც გიჟი უგონო,
ვინ მოგვხედავს ან სად შევიმყუდროვოდ?!.

— : —

თებერვალო შენ მოგვწყვიტე წელია,
გამომგლიჯე თბილი საფარძელია...
მუშებს დარჩათ საქართველოს დიდება,
მომვალიც მათთვის ათობრწყინდება!

— : —

გულს მიხეთქავს მშენებლობის ტალღები,
როგორც მგელი უცქერი და ვბრაზდები.
ძველ ცხოვრებამ ვაჰ მე, თავი დახარა
და კომუნებს შეგუგუნებს ქარხანა!

— : —

ათმა წელმა ათი შანთით დამსერა
კომუნისტებს უყურებ და ჩრ მჯერა...
გულს მიშხამავს მათი შრომა გმირული.
ვაჰ ნოეჯან ვგდივარ მთლად განწირული.

ვ. ბ.

# გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციას მთელ მსოფლიოში!

## „ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ!“

### (კულაკების, ნეპმანების, ვაჭრების, მღვდლების და თავად - აზნაურების განცხადება)

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ყოფილი და ახლანდელი კულაკები, ნეპმანები, ვაჭრები, ხუცები, თავად-აზნაურები, ღენრალ-პოლკოვნიკები და სხვა ასეთი კეთილშობილი ხალხი, ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და განსაკუთრებით საბჭოთა საქართველოს ათი წლის თავის გამო

...მოგვცა ჩვენ ბოლშევიკურმა საქართველომ?

არაფერი!

რა წაგვართვა?

ყველაფერი!

ვის მისცა ჩვენი ნაამაგარი?

გამურულ მუშებს და ხელ-კოჟრიან გლეხებს, რომლებიც ახლა ბატონებათ გრძნობენ თავს.

ჩვენ, ყოფილი ადამიანები, გულითად პროტესტს ვაცხადებ... შემდეგი მიზეზების გამო:

1. ბოლშევიკებმა დაანიავეს მდიდარი ხალხი, გააუქმეს წოდება და მთელი ძალა-უფლება გადასცეს საბჭოებს, სადაც ჩვენ ცხვირის შეყოფის უფლებაც კი არა გვაქ...

საბჭოებმა, ისევ და ისევ ბოლშევიკების წინამძღოლობით, მთელი მიწები გლეხებს დაურიგეს, ფაბრიკა-ქარხნები სახელმწიფო საკუთრებათ გამოაცხადეს და კერძო მრეწველობა მოსპეს.

3. იმავე საბჭოებმა ყოველგვარი ღირსება აგვხადეს ჩვენ, ყოფილ კეთილშობილებს და ისე წაიყვანეს საქმე, რომ ყოფილი დიდი ღენერლები პაპიროსებით მოვაჭრეებათ გადააქციეს, ხოლო ახლა აღარც ამის უფლებას აძლევენ.

4. იმავე საბჭოებმა, კერძო ვაჭრობის მოსპობის მიზნით გახსნეს კოოპერატივები და ქვეყანა შიგ ჩასწერეს წევრად. რაც საუკეთესო მაღაზიები იყო, კოოპერატივებს უჭირავთ და კერძო ვაჭარი სადღაც კუთხეშია მოკუნტული. ამას გარდა, აუარებელი ვაჭარი და მრეწველი გაკოტრდა.

5. საბჭოებმა ნება მისცეს ხალხს ხელი აეღო სარწმუნოებაზე და ახლა მრავალი ეკლესია ქოხ-სამკითხველოთ არის გადაკეთებული. ზარები ჩამოხსნეს და მანქანებს მოახმარეს. შემოსავლის მოსპობის გამო აუარებელი მღვდელი გაკრეჭილი და ანაფორა-გახდილი დადის.

6. საბჭოები ახდენენ საქართველოს ინდუსტრიალიზაციას, მაგრამ ისე, რომ მთელი მრეწველობა სახელმწიფოს ხელში იქნება და ჩვენ არაფერი მოგვიწევს.

7. საბჭოები ატარებენ სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებას, რასაც ეგენი სოციალისტურ რეკონსტრუქციას ეძახიან. ყველგან არსდება კოლექტივები, კომუნები, საბჭოთა მეურნეობები და ყველა ამის საფუძველზე ისპობა კულაკობა, როგორც კლასი.

8. სოფლის კოლექტივიზაცია ყველაზე უფრო გვაშფოთებს ჩვენ, რადგანაც ამას შემდეგ აღარსად გვექნება დასაყრდენი არც ჩვენ და არც სხვა კაპიტალისტურ ელემენტებს.

9. საბჭოებმა, იმავე კომპარტიის ხელმძღვანელობით, გაანადგურეს კულაკების და ჩვენიც უკანასკნელი იმედი — მემარჯვენე-„მემარცხენე“ ელემენტები, ოპორტუნისტები, ტროცკისტები, ბლოკისტები, ორჭოფები, სირცოვ-ლომინაძეები, კაპიტულიანტები, გამამრუდებლობა და მათთან შემარიგებლები. მართალია, აქა-იქ არის ორიოდე ოპორტუნისტი, მაგრამ ჩვენ აღარა გვაქვს მათი იმედი.

10. საბჭოები არ დაკმაყოფილდნენ მარტო პოლიტიკურ-სამეურნეო რევოლიუციით, ისინი კულტურულ რევოლიუციასაც ახდენენ, ამზადებენ აუარებელ კადრებს, შექმნეს ძლიერი წითელი არმია (რომელმაც შარშან ცხვირი მოსტეხა ჩინელ და ევროპიელ იმპერიალისტებს), აშენებენ ფაბრიკა - ქარხნებს და ელსადგურებს, სრულებით ახალისებენ სოფლის მეურნეობას (სადაც, როგორც ვსთქვით, უკვე გამოგვეცალა ნიადაგი) და ერთი სიტყვით, ნამდვილათ, სერიოზულათ აშენებენ სოციალიზმს!

გამომდინარეობთ რა ყოველივე ზემოთქმულიდან, ჩვენ, ყოფილი ადამიანები, კაპიტალიზმის ნარჩენები, ხმამაღლა ვყვირით შემდეგს:

გო-რო-დო-ვო-ო-ო-ი!!!

ალღარ.

## დამდეგ იყო თებერვლისა

ათი მთა გადავატარეთ, მთები სურამ-აჭარისა,
სულ ძუნძულით გაირბინეს ნაპირები შავი ზღვისა—
ათი გემი იქ ელოდათ ფრანგისა და ინგლისისა;
შიგ ჩასხდენ და ჩაალაგეს მათ ბოხჩები ნაძარცვისა—
ხატები და სამკაული—ოქროსი და ალმასისა!
ბათომში ხალხი მოგროვდა, ჟორდანია „რეჩს“ იტყვისა:
—„ხალხო, გული არ გაგიტყდეს, ვადასა ვდებ ერთი თვისა,
ჩვენ ისევე უკან მოვალთ,—ბოლშევიკებს ვინ ეთვისა?.
ხალხმა გულით გაიცინა:—„რა ხუმრობა გვითხრა ისა!
ერთხელ ძლივას მოგიცილეთ, აქ მეორეთ რა გინდისა?“
მხოლოდ მღვდელი და ვაჭარი—მემამულეც ატირდისა:
—„მფარველნი რომ გაგვირეკეს, ჩვენი ბედი ვანდოთ ვისა?..
გაქცეული მინშევიკი ევროპაში მიცოცდისა,
ბურჟუები ინახულა, იმათ ფეხქვეშ დახოხ...ისა,—
—„თქვენი ჭირიმე ბატონო, მლოცველი ვარ თქვენი მზისა,
გვიშველეთ და დაგვაბრუნეთ, გამოგვადგეთ მრავალგზისა:
მუშა ხალხი დავიმონოთ და გლეხებიც—მსგავსად ყმისა,
თქვენს ნებაზე გათარეშოთ, გადვრევინოთ სისხლი ძმისა!“
მაგრამ ყური არვინ უგდო, ვით ნადირი დაძრწის ტყისა,
ამ კარდაკარ ხეტიალში ...არაფერი გააწყვისა.—
დაპირება გაუცრუვდა, თვესთან წლებიც გავიდისა,—
საქართველო კი გარდიქმნა—ქვეყანაა მუშებისა:
გაიჩალა მშენებლობა—ფაბრიკის და ქარხნებისა,
მინდვრათ არხები გადახჭრა, ზედ ტრაქტორიც გავიდისა,
ბავშვები და მოხუცები წერა - კითხვას ისწავლისა!
კულაკს, ღვდელს და მემამულეს—ყველას დედა ეტირისა,—
ულარიბეს გლეხს და მუშას—კავშირი აქვთ ერთ პირისა,
დაარსდა კოლექტივები—შიგ სოფელი გაერთდისა,—
საბჭოების რესპუბლიკა მაგრდება და წინ მიდისა,—
მტრები შორით ცოფსა ჰყრიან თოფ-ზარბაზანს აისხმისა—
პაპული შეიკაზმა, მენშევიკსაც ეძახისა!
იმდენი მამა უცხონდა, რაც ხეირი მათ ნახისა:
კისერს მოვტეხთ, ალარ გვინდა შემომტანი მ...რახისა,—
გავამაგრებთ საბჭოეთსა—სოციალიზმს წინ უძღვისა,
და ათი წლის მონაპოვარს არ დაუთმობ... არავისა!

ავუია

ათი წლის წინათ




ათი წლის შემდეგ

# გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს ათი წლის თავზე!

## „წინასწარმეტყველი“

ვარგისოს ჭკუა - საკითხავ კაცად სთვლიდენ მენშევიკების დროს.

მართლაც, მენშევიკის პირობაზე ვარგისო უჭკუო კაცად არ იყო მისაჩნევი, მაგრამ ერთი სენი სჭირს ამ თავიდანვე: მეტის მეტად უყვარს წინასწარმეტყველობა.

აჰე მაგალითად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა, ვარგისომ დიდის „შორსმჭვრეტელობით“ განაცხადა:

— ბატონო, ამ ულვაშს მოკვჭრი, თუ ეგ ბოლშევიკები ხუთ-ექვს დღეში არ წავლენ! როგორ გეკადრებათ! მოდის ინგლისის გემ კი, მოჰყავს ისეთი ზარბაზნები, რომ აქედან მოსკოვში ჩაავდებს ყუმბარას! აბა დამაგრდენ ეს კომუნისტები!

ვარგისოს, სოფლის ბობოლას ყველამ დუჯერა, არ სჯეროდა მხოლოდ რამოდენიმე ახალგაზრდას და არმიაში ნამყოფ გლეხებს.

— სად უნდა წავიდენ შვილოსა, ეგენი ჩვენ და ჩვენმა მუშებმა მოიწვიეს, ნახეთ რა ამბები დაატრიალონ! ეს მიწები, მენშევიკებმა ჰემამულეებს რომ დაუტოვეს, სულ ღარიბ ხალხს დაუბრუნდება!

გავიდა ნახევარი წელი.

— ვილუპებით ვარგისო, წასვლას არ აპირებენ, — შესჩიოდენ ბობოლას სოფლის ვაჭრუკანები, მენშევიკები, ღვდელ-დიაკვანი და მათი ამქარი.

— გული გაიმაგრეთ, თქვენ კი არა, ეგენი ილუპებიან! ამბავი მოვიდა, მთელი ევროპა ამდგარა თურმე და მოდის საქართველოს დასახსნელად! ზარბაზნების გრიალი რომ გაიგონოთ, არ შეგეშინოთ, ჩვენები იქნებიან! ეგენი გაუძლებენ ევროპას და ამერიკას?!

ღვდელი პირჯვარს ისახავდა და სხვებსაც ლოცავდა, ბოლშევიკების დაღუპვას ევედრებოდა მარიამის ვაჟს, იესო ქრისტე-ს.

გავიდა ერთი წელი.

— ვარგისო... რას გვეტყვი?..

— დამშვიდდით ძმებო! იაპონიაში თურმე დიდი მღელვარებაა, მთელი კიტაის ღენერლებიც ამხედრებულან საქართველოში კომუნისტების შემოსვლის გამო და მოდიან ჩვენდა სახსნელად! მოითმინეთ ერთი-ორი თვე!..

სამი წელი გავიდა.

— აბა თქვენ იცით, ჩუმად ქადაგობდა ვარგისო, აგვისტოში აჯანყება იქნება და მთელი ევროპა შემოესევა კომუნისტებს. მაგრათ იყავით!

აგვისტოს ავანტიურის და მისი შედეგების ამბავი ყველას ახსოვს. ღვდლების, ვაჭრების და თავად-აზნაურობის შეთქმულება უკუღმართად დამთავრდა მათთვის.

— დავმარცხდით, მაგრამ დროებით, — ანუგეშებდა ფეოდაკარგული ვარგისო კულაკებს, სამაგიეროთ მთელმა ქვეყანამ გაიგო ჩვენი აჯანყების ამბავი.

გავიდა კვლავ ორი-სამი-ოთხი წელი. საქართველო გაძლიერდა, გაღონიერდა, გადახალისდა.

— ეს დროებითია, — ლუღლუღებს თითონაც იმედ - გაწყვეტილი ვარგისო, — ყველაფერი უქმად ჩაუვლით!..

გავიდა ათი წელი. საბჭოთა საქართველო ზეიმობს თავისი არსებობის ათი წლის თავს.

ვარგისოს სოფელში მთლიანი კოლექტივიზაცია გატარდა და იგი, როგორც კულაკი, გააძევეს მის მეგობრებთან ერთად.

— ვინ დაგარქვა შენ ვარგისო? შენისთანა უვარგისი და უხამსი ვინღა იქნება? — ებრძვიან კულაკს მისივე მეგობრები, შენ რომ არ აგყოლოდით, იქნებ გლეხებს დავეტოვებიეთ სოფელში...

ამრი არაბი

## „...რშიყ...“

— მიყვარს ვარდი, მომწონს ია, თამარა ხარ, თუ ნადია!.. — ვგონებ ასე წაუმღერა კვალითის კოლმეურნეობის სკოლის გამგე კვირიკაშვილმა, გასაბჭოების ათი წლის ზეიმზე რომ გამოვიდა ქუჩაში და დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღების მაგიერ ჯგუფად, გვერდებივით განზე მდგარ მოსიარულე ქალებს მიუბრუნდა.

— ო, რა არის ბატონო მანაველ? რად იცით აგრე? რა ყველას ეარშიყებით?

— აბა რას ამბობ? ა? ფუტი, მე მხოლოდ თქვენ... მიყვრა... არა, ასე ვთქვათ„

— ... კი არა, ასპიროზი მქვია, ბეჩა!

— ეგ ასეროვნოა... მე ორივეს დავიძახებ...: მარა, აქეთ მოიხე... მაგენმა არ გაიგონ, და...: ჰო, და .. წინიზეც ქე გითხარი: თუ გინდა ... და ...?

— მაგას რა ჯობს! ოღონდაც მაგი მაღირსე და::: მარა, მომზადება იმდენი რომ არა მაქვს? ბაბუეს ბიძოლა მასწავლიდა სახლში, და:::

— რა საჭიროა ცოდნა, მე აქ არა ვარ? მხოლოდ, სამაგიეროდ::: ხომ მიხვდი?

— ეუ! ჩემი სიკვდილი! რავა მოუნა, ბეჩა, მანაველ?!

— რად ცხარობ? ქრთამს ხომ არ გთხოვ, დუშკა! პატივს გცემ, სამსახურში გაწყობ. და, მაშ სამაგიერო არაფერი?! ჰმ!

— როხ, მანაველუშკა, დუშუშკა!

— რას შვრები აწი, შვილო, აქანე?!— წამოაწყდა ქალის დედა ამ სურათს და იყვირა — მაი ძუნკალი მასთე ატყუებს ყველას და შენც უჯერი, თუ?! ეგერა იმგენის ფაცია რავა გააცურა... მაგი ჰაგიზა ფერსათიდან იფრინეს, მერე, ვინცხა პროტექცია ყოფილა გვარად. მას მოუწყვია ზესტაფონის რაიონის ინსტრუქტორად, იქიდანაც ქე ... და აწი აქანე ამოყო თავი და მაინც არ იშლის? ჩვენ აქ მეათე წელს ვზეიმობთ გასაბჭოებისას და აგი რავა ვერ მოვიშორეთ, თუ კი ათი წლის წინ ვუარესებს ოჯახით გუდა - ნაბადი? წამოი აქეთ!

— ა? მანაველ; ნეტავ ლი მატყუებ? რავა ევიბეხი! აწი რაღა გჯერა?!

— ეხ, შენც უჯერი რაღა მაგ ბებრუხანას!

— რაიო?! ვინაა აწი ბებერი. რაით ვარ ნაკლები ჩემ ქალიშვილზე, ა? შენ დაგეფსოს თვალი ისთე, რავარც ამ ჩვენ კულაკს, ხუცესს, ექიმბაშს და ყველა გაბითურებულ ხალხს ეფსება თვალი ღღევანდელი დღით!..

—და ამ სიტყვებთან ერთად ქვას დასწვდა, მარა მანაველმა მოასწრო მოზეიმე ხალხში თავის შეფარება:::

მრუდე ხარკი

## სცენა ჩონთოში

**ბრიგადელი.** ამხ. სტურუა! აქ ვის ჩასაფრებულხარ მაგ ხაფანგით, რას ელი?

**სტურუა.** ა. შენა, ამხ.?! სუ! იქნება ღობეში ვინმეს გოჭმა შემოყოსთქვა დინგი და, გამოვკრავ თოკს!

**ბრიგადელი.** კი, მარა ხორცის დამზადების კამპანიას აგრე ატარებ? შენც ხომ საჩხერის მუშათა კოოპერატივის და „სოიუზმიასოს“ წარმომადგენელი არა ხარ, რომ ვერ განძრეულან! საბჭოს თავმჯდომარეს არ გეპატიება... დაიყვანი დამზადების გეგმა კულაკებამდე, და...

**სტურუა.** აუ! გძინებია ძამია შენე და იგია! ჩვენ თემში კულაკობა არაა და საიდან ამოიჩხრიკო?'

**ბრიგადელი.** აბა? რაღგანა გოჭი?

**სტურუა.** აგერა ჩვენი გასაბჭოების ათი წლის თავზე მტერს, მოყვარეს შევხვდეთ-თქვა რაფარც საჭიროა, ერთი კაი-კაი წვადები დავატრიალოთ შამფურზე... რაც შეეხება დანარჩენ ხორცის დამზადებას, მაგიზა ძამია არ მცალია!

დაჭკა!

ძირს საერთაშორისო იმპერიალიზმის გამყიდველი აგენტები და ეროვნულ-ქართველი მენშევიკები!

# გასაცოცხი „თაიგული" მეათე წელზე

გასაბჭოების ათ წელზე
ორგულები მაინც გვყავს:
კულაკების აგენტები —
ძმებად გვაჩვენებენ თავს!..

—:—

პარტიაში შემძვრალა და
მტრის საქმეს აკეთებს...
ჩვენს რიგებში, ამიხსენით,
რა უნდათ ასეთებს?!
1. სოფელ კაცხის საბჭოს მდივანს
უნდა ზურგის აწვა...
იმიტომ, რომ მღვდელი მამის
უყვარს იმას დაცვა!..
2. აქაურ კომუჯრედს მდივნობს
კაპანაძე პლატონ...
კოლექტივებთან ბრძოლაში
ჰგავს მრისხანე ბატონს!..
3. ხრეითის სასოფლო საბჭოს —
ქართველიშვილი დავით:
მაჯლაჯუნად დასწოლია —
„თავობს" უთავო თავით!..

—:—

მისგან ჩადენილ ავ საქმეს
აბა ვინ დაჰფარავს?!
გლეხობის მოზიდულ სიმინდს
ის თვითონ იპარავს!..

—:—

ღარიბ გლეხებს მუდამ ბეგრავს —
კულაკებს კი არა...
ეცოდება... იმათ დაცვად
ო, სად არ იარა?!!
4. არგვეთს, ლობჟანიძე ანტონს
ვინ არ იცნობს აბა?
ღარიბთ ებრძვის... და კულაკთან
კავშირი გააბა!..

—:—

საბჭოთ არჩევნებში სცადა
ღარიბთ გზის აბნევა...
„კულაკები ავირჩიოთ" —
ყველა ეუბნევა!..
5. დავით გვიანაძე არის
მასზე უარესი...
ხელისუფლების წინაალმდეგ
თავისი აქვს „წესი".

—:—

კოლექტივში შესვლა არ სურს —
„უშიშრად რაინდობს"...
კომფრაქციას კი პირდაპირ
ებრძვის და არ ინდობს!..
6. რეითს, კომუჯრედის მდივანს —
მიხეილიძე თომას:
კოლექტივების წინაალმდეგ
აქ „უქებენ შრომას!"

—:—

არავითარ კამპანიას —
ის აქ გზას არ აძლევს...
ყველ[...] ემუქრება... მართლაც
აბა მას ვინ [...]?!"
7. კონსტანტინე ტყავაძე ხომ
[...]ნდს აჩანაგებს...
ჯგუფი შექმნა — მიმაგრებულ —
უტევს ამხანაგებს!..

—:—

სადა კოლექტივებია —
განიზრახა დაშლა...
ვიდრე ამას შეასრულებს —
სჯობს არ მივცეთ დაცლა!..
8. დიმიტრი მიხეილიძე? —
შეხედეთ რას აგავს!
პარტია ნეტა ვით ითმენს
ამ შემომძვრალ ნაგავს?!

—:—

კომუჯრედის საიდუმლოს
შავსიელთ ულაგებს...
ღარიბ გლეხებს ატყუილებს —
მფარველობს კულაკებს!..
9. ჯორჯილაში „ნაქებია" —
გოგატიშვილი სანდრო...
თავისთვის გამოიყენა
დღევანდელი მან დრო!

—:—

კულაკების ქებაშია —
არტელის დაშლა სურს...
მაგრამ კოლმეურნე-გლეხი
იმას არ ათხოვს ყურს!..

—:—

თავის ქონება დამალა —
ამბობს: „არის ძმისო.
ვინც მე ამას არ მიჯერის —
მტერ[...]ის ისო!.."

—:—

კიდევ ბევრს ჩამოგითვლიდით —
მაგრამ ეს გვეყოფა...
ჭიათურის პარტორგანომ
„უტიროს მათ ყოფა!"
თორემ მეათე წლის თავზე
მათ ჩვენში რა უნდა?!
ველით, ვისგანაც მთელის
პარტსასჯელის გუნდა!..

**ამბა!**

(გაგრძელება იხილეთ საკონტროლო კომისიაში).

# „მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი"

— ჰო, და.. როგორც გითხარით, ამხანაგებო, საკოლმეურნეო მოძრაობა ისე სწრაფი ტემპებით ვითარდება რომ აგერა. ჩვენ სოფელში გარედ დარჩენილმა 61 გლეხმაც შემოიტანა განცხადება არტელში მიღებაზე.—რიხიანად განაცხადა ხრეითის სას. საბჭოს თავმჯდომარემ კრებაზე.

— კი, მარა.. ამათში სამი კულაკია, ერთი შავსიელი ნააზნაურალი, ერთი მღვდელი, და..—მიუგო ახალგაზრდა კოლმეურნემ, რომელიც განცხადებებს ათვალიერებდა. თავმჯდომარემ მას გააწყვეტინა:

— მერე. ეგ რაია! იყვნენ, შევიყვანოთ არტელში, გამოსწორდებიან.

— ამხ. ეგ. ხომ ოპორტუნიზმია პრაქტიკაში?

— აუ! დაგიზეპირებია შენცა ეგ სიტყვა, და იმას კი არ კითხულობ, რომ ხვალ-ზეგ ს[...]ულდება საქართველოს გასაბჭოების ათი წელი და მთავრობა ალბად მანიფესტს გამოსცემს, ის მანიფესტი ალბად ამათაც შეეხება, კულაკს ინდივიდუალურ დაბეგვრას მოხსნის, შავსიელს ხმას აღუდგენს, მღვდელს ეკლესიას აუგებს და მანიფესტს ჩვენ რომ აქ დავასწროთ არ აჯობებს, თუ?!

— თქვენი თავმჯდომარე სწორია, ბოშო, რად უხირდებით?!—ჩაერია კაცხის საბჭოს მდივანი, რომელიც შემთხვევით აქ დაესწრო ახლა—მე ჩვენი [...]ვდელ კაპანაძის კოლექტივში შეყვანა მოვითხოვე და გავატარებ კიდეც, რავარც დავპირდი სუფრაზე მას.

— აი, ბოშო, ნამდვილი ხვთისნიერი ხალხი! ვინა თქვა, რომე ღმერთი არაა? აგერ თუ არაა, ვერ მოაქცვიანა თვით სატანის კერძი — კომუნისტების ხალხი! — გადუჩურჩულა მღვდელმა კულაკთა ჯგუფს, რომლებიც თავმჯდომარის ნებართვით, „მანიფესტით" კრებაში შემოპარულიყვნენ და ტაშს უკრავდენ თავმჯდომარეს:

— აი აგი ნამდვილი ჩვენი მთავრობაა!

— კი აქვს, ძამია, კიდო პურმ[...]ილს გასავალი!

— ჭამოს! ოღონდაც საქმე გაგვიკეთოს!

ალბად ჯერ კიდევ ბევრს იტყოდენ „ნამანიფესტალი ხალხი", რომ იმავე ახალგაზრდა კოლმეურნეს არ ეყვირა:

— ამხანაგებო, ღარიბო და საშუალო გლეხებო, მოჯამაგირენო და აქტიურო მშრომელო ქალებო, ისეთებს, როგორიც ჩვენი თავმჯდომარეა და კაცხელი მდივანი რაღა [...] აქვთ ჩვენთან საერთო!?

— არაფერი!!! — იგრიალა კრებამ და შემდეგ რა მოხდა, ალბად საქართველოს გასაბჭოების მეათე წლის [...]ვის მერამდენიმე დღის შემდეგ გაიგებთ...

იქაური

# ქართული ემიგრაცია საზღვარ-გარ

1931




საქ. მეცნიერებათა აკადემიის
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук Г

ათი წელი შეუსრულდა...
მოსთქვამენ და ცრემლსა ღვრიან.
ვეღარ შველით მაკდონალდი,
ვერც პილსუდსკი, ვეღარც ბრიან.

ოხრად დარჩა პორთფელები,
ელირსებათ არცა გვიან,
მალე ვნახავთ მუშები რომ
იქიდანაც გამოგვიან...